ქალაქ ქუთაისში, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე ზვიად გამსახურდიას, არსენ იყალთოელის, გიორგი ჭყონდიდელის ქანდაკებებისა და დავით ამაშენებელის ფრესკული მოზაიკის განსათავსებლად საუკეთესო ესკიზური კონცეფციის შესარჩევი კონკურსის პროგრამა და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ქალაქ ქუთაისში წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე ზვიად გამსახურდიას, არსენ იყალთოელის, გიორგი ჭყონდიდელის ქანდაკებებისა და დავით ამაშენებელის ფრესკული მოზაიკის განთავსების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების გამო, კონკურსიის „დამკვეთი" - ქალაქ ქუთაისის მერია პროფესიული საზოგადოების ჩართულობით აცხადებენ ღია შემოქმედებით კონკურსს.

1.2 ღია შემოქმედებითი კონკურსი გაიმართება კონკურსების ჩატარების შესახებ დეკლარილებული პირობების გათვალისწინებით.

1.3 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ცალკეულ ავტორს ან/და ავტორთა ჯგუფს, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება ამ თემატიკის ამოცანების დაძლევას.

1.4 საკონკურსო მასალების შეფასებასა და გამარჯვებულის გამოვლენას მოახდენს „საკონკურსო კომისია".

1.5. საკონკურსო განცხადებისა დ მასზე თანდართული დოკუმენტაცია განთავსება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი და ამოცანა

2.1 კონკუსის მიზანია ქალაქ ქუთაისში, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე ზვიად გამსახურდიას, არსენ იყალთოელის, გიორგი ჭყონდიდელის ქანდაკებებისა და დავით ამაშენებელის ფრესკული მოზაიკის განთავსება.

2.2 კონკურსის ამოცანაა, საზოგადოებრივი და პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, ღია შეჯიბრების პრინციპზე დაყრდნობით საუკეთესო ესკიზური ნამუშევრისა და მის განსახორციელებლად ოპტიმალური სახარჯთაღრიცხვო წინადადების გამოვლენა.

მუხლი 3. კონკურსის პირობები

3.1 კონკურსი ცხადდება ღიად და ანონიმური წესით.

3.2 კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის ცალკეულ ავტორს ან/და ავტორთა ჯგუფს.

3.3 „საკონკურსო პროგრამისა და პირობების" დარღვევით, მონაწილის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მასალები, (დოკუმენტები და საპრეზენტაციო პლანშეტების

ფორმატი, მასალის ჩაბარების ვადა და ა.შ.) კონკურსზე არ განიხილება და შესაბამისად მოხდება მისი დისკვალიფიკაცია.

3.4 საკონკურსო კონცეფციის მომზადებისას:

3.4.1 კონკურსანტებმა მხედველობაში უნდა მიიღონ და კარგად მოახდინონ გააზრება, საკონკურსო თემისა და მისი განთავსების ადგილის კონტექსტის.

3.4.2 ნამუშევარის კომპოზიცია და მასშტაბი, კონკურსში მონაწილეებმა უნდა მოიყვანონ საკონკურსო მიზნებთან შეესაბამისობაში.

3.4.3 ნამუშევრის რელიზების ბიუჯეტი უნდა იძლეოდეს ხარჯების გონივრულ საზღვრებს.

3.5 „კონკურსის დამკვეთის" კონკურსში პირდაპირი ან/და ირიბი მონაწილეობა დაუშვებელია.

3.6 კონკურსის ჩატარების პროცედურები და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მათ შორის შესაძლო პრეტენზიები, რეგულირდება წინამდებარე საკონკურსო პირობებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

3.7 საკონკურსო მასალის მომზადება და კონკურსის საქმიანობის წარმოება მოხდება ქართულ ენაზე.

მუხლი 4. კონკურსის ჩატარების ვადები

4.1 კონკურსი გამოცხდდება 2026 წლის 11 მაისს ქალაქ ქუთაისის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე /www.kutaisi.gov.ge/

4.2 საკონკურსო მასალები ხელმისაწვდომია 2026 წლის 11 მაისიდან.

4.3 საკონკურსო მასალების შემოტანის ბოლო ვადაა 2026 წლის 20 მაისის 24.00 საათამდე: ელექტრონულად ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე /contact@kutaisi.gov.ge/

4.4. საკონკურსო მასალების განხილვა მოხდება 2026 წლის 22 მაისს, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზ. N3-ში მდებარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაიულ შენობაში.

4.5. კონკურსის შედეგები გამოცხადება 2026 წლის 25 მაისს 18.00 საათამდე.

მუხლი 5. კონკურსზე წარსადგენი მასალები

5.1. საკონკურსო მასალები, წინამდებარე კონკურსის პირობების მოთხოვნების შესაბამისად, ელექტრონულად უნდა გადაიგზავნოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ელ. ფოსტაზე /contact@kutaisi.gov.ge /

5.2 საკონკურსო - საპრეზენტაციო მასალების შემადგენლობა:

ა) კონკურსის მოცულობისა და პირობების შესაბამისი ნახაზები-სიტუაციური გეგმა, გეგმა, ორი ხედი, მათ შორის არსებულ გარემოში ორი ფოტომონტაჟი. ამავე პლანშეტზე უნდა განთავსდეს იდეის მოკლე განმარტება (განმარტებაში ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული პროექტის კონცეფცია, ასევე ზუსტად უნდა იყოს მითითებული რა

მასალაში განხორციელდება მემორიალური კომპოზიცია. მათ შორის მისი განხორციელების სავარაუდო ბიუჯეტი).

ბ) საკონკურსო- საპრეზენტაციო მასალები სათანადოდ აღქმად ფორმაში უნდა განთავსდეს A-1 ზომის, არაუმეტეს ორ, პლანშეტზე ჰორიზონტალურად.

გ) დამატებით შესაძლებელია მაკეტის წარდგენა. ასეთის არსებობის შემთხვევაში მაკეტის მოდელი უნდა ჩაბარდეს უშუალოდ დამკვეთს იმავე ვადებში, რომელიც ძირითადი მასალების გაგზავნისათვის, მეოთხე მუხლის 4.3 პუნქტითაა განსაზღრული.

დ) საკონკურსო მასალები უნდა გადაიგზავნოს PDF ფორმატში (დაარქივებული ფაილით არაუმეტეს 25 მგბ), აგრეთვე დამატებით ცალკეული გამოსახულებებით JPG ფორმატში (200 dpi).

5.3 დაუშვებელია საპრეზენტაციო ვიზუალურ მასალებზე ავტორების მითითება.

5.4. კონკურსის მსვლელობისას, საკონკურსო მასალასა და კონკურსის მონაწილეს აღრიცხვა ხდება შვიდნიშნა არათანმიმდევრული რიცხვებით-კოდებით საშუალებით.

5.5. კონკურსზე წარსადგენ ყველა ელექტრონული სადემონსტრაციო მასალის- პლანშეტის ზედა მარჯვენა კუთხეში დატანილი უნდა იყოს აღნიშნული არათანმიმდევრული შვიდნიშნა რიცხვები-კოდები.

მუხლი 6. საკონკურსო კომისია

6.1 კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს წინამდებარე ბრძანებით შექმნილი, შვიდი წევრისაგან შემდგარი„საკონკურსო კომისია“.

6.2 კომისიას ხელმძღვანელობს კომისის თავმჯდომარე.

6.3. კომისიის შემადგენლობაში გარდა თავმჯდომარისა და წევრებისა, შედის აგრეთვე კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას და კომისიის მდივანი.

6.4. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ანხორციელებს კომისიის მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს: საკონკურსო მასალების მიღება-დაბრუნებას, მასალების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენას, კომისიის მუშაობის ხელშეწყობას და კომისიის ოქმების შედგენას; მათ შორის, კონკურსთან დაკავშირებულ ნებისმირი ტექნიკური საკითხების წარმართვას.

6.5 კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრებ კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის 2/3 მაინც.

6.6 „საკონკურსო კომისია“, კონკურსთან დაკავშირებით ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

6.7 „საკონკურსო კომისია“ კონკურსის მსვლელობისას მიღებულ თითეულ გადაწყვეტილებას აფიქსირებს ოქმის სახით. ოქმები მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა

ნებისმიერ მსურველს, „პერსონალურ მონაცემტა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.8 „საკონკურსის კომისიის“ წევრებს, მათ შორის მოწვეულ ექსპერტებს უფლება არა აქვთ, როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად მიიღონ მონაწილეობა საკონკურსო პროექტების შემუშავებაში და ვალდებულნი არიან მოახდინონ ინტერესთა კონფლიქტიდან თავის არიდება.

6.9 „საკონკურსო კომისიის“ გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიძლება გადაიხედოს, მათ შორის „კონკურსის დამკვეთის“ მიერ; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „კონკურსში მონაწილეს“ აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომლითაც სათანადოდ დგინდება, რომ „დამკვეთის“ ან/და საკონკურსო კომისიის ქმედებით კონკურსის ჩატარებისას დაირღვა საკონკურსო პირობები და წესები ან/და შეილახა მისი, როგორც ავტორის უფლებები.

მუხლი 7. შეფასების კრიტერიუმები

7.1 საკონკურსო კომისიის მიერ მოხდება შერჩევა ერთი საუკეთესო კონცეფციის, რომლის ავტორს ან/და ავტორთა ჯგუფს მიენიჭება კონკურსში გამარჯვებულის სტატუსი:

7.2 გამარჯვებულის გამოვლენის პროცესში საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ეყრდნობა კონკურსანტის მიერ საკონკურსო მასალების მომზადებისას კონკურსის მოთხოვნების სრულყოფილად დაცვას და საკონკურსო მასალების ჩაბარების პირობების ჯეროვან შესრულებას, ხოლო მასალების შეფასებისას ხელმძღვანელობს ძირითადი კრიტერიუმებით.

7.3 შეფასების ძირითადი კრიტერიუმია:

ა) საკონკურსო ტერიტორიაზე, სკულპტურული კომპოზიციის გეგმარებითი გადაწყვეტა - 1 ქულა;

ბ) სკულპტურული კომპოზიციის არსებულ გარემოსთან ორგანული თავსებადობა - 4 ქულა;

გ) სკულპტურული კომპოზიციის მოცულობითი და მხატვრული თანაზომადობა - 4 ქულა;

დ) სკულპტურული კომპოზიციის რეალიზების საორიენტაციო ღირებულება - 1 ქულა.

7.4 საკონკურსო მასალები შეფასებისას კომისიის თითოეული წევრი ცალ-ცალკე აფასებს 10 ბალიანი სისტემით.

მუხლი 8. კონკურსის „დამკვეთის“ და „კონკურსში მონაწილის“ ვალდებულებები.

8.1 კონკურსის პროგრამასა და პირობებს, „კონკურსის დამკვეთის“, „საკონკურსო კომისიია“ და „კონკურსის მონაწილეს” შორის აქვს ხელშეკრულების ძალა და შესაბამისად მათ შორის შესაძლო დავების წარმოშობა, მათი კომპენტენციის ფარგლებში, იხილება და წყდება წინამდებარე პირობების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. რის გამოც თითეული მხარე ვალდებულია, კონკურსის მიმდინარეობისას ხელი შეუწყონ პროცესების მართლზომიერ წარმართვას და კონკურსის დამთავრებამდე უზრუნველყონ საკითხთა კონფიდენციალურობა და საკონკურსო მასალების ანონიმურობა.

8.2 „ კონკურსის დამკვეთის“ ვალდებულებულია:

ა) მოახდინოს კონკურსის ჩატარების ფინანსური უზრუნველყოფა (კონკურსის ბიუჯეტი და სხვა ტექნიკური ხარჯები)

ბ) მოახდინოს: საკონკურსო მასალების დაბეჭდვა, საჯარო გამოფენის მოწყობა, კონკურსის დამთავრების შემდგომ საკონკურსო მასალების კატალოგის შედგენა-გამოცემა.
გ) კონცეფციის რეალიზების მიზნით, კონკურსის შედეგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, გამარჯვებულ ავტორთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

8.3 „საკონკურსო კომისია" ვალდებულებულია:
ა) შექმნას ყველა წინაპირობა, რათა წინამდებარე არქიტექტურული კონკურსი წარიმართოს გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად;
ბ) შექმნას კონკურსის წარმართვისათვის ყველა სამართლებრივი წინაპირობა.

8.4 კონკურსში გამარჯვებული ვალდებულებულია:
ა) კონკურსის ფინალური ეტაპის შემდგომ ითანამშრომლონ კონკურსის დამკვეთთან, რათა, იდეა-კონცეფციის რეალიზების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს მხარეებს შორის სათანადო სამართლებრივი ხელშეკრულების გაფორმება;
ბ) „კონკურსის დამკვეთს" გადასცენ საკონკურსო მასალებზე ქონებრივი უფლებები. ხოლო მათი საავტორო უფლებების დაცვა ხორციელდება, საავტორო უფლებებზე, საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი